N 33 2016 წლის 18 იანვარი ქ. თბილისი

„შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 8 თებერვლის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, „შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 8 თებერვლის №23 დადგენილებაში (სსმ, 21, 11/02/2008) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილებით დამტკიცებული შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ო“ ქვეპუნქტი:

„ო) სახელმწიფო შესყიდვების მენეჯერი;“.

2. დადგენილებით დამტკიცებული შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „პ“ ქვეპუნქტი:

„პ) მთავარი იურისტი.“.

3. დადგენილებით დამტკიცებული შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის საშტატო ნუსხა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის საშტატო ნუსხა

სტრუქტურა, თანამდებობა	**რაოდენობა**
საქართველოს სახელმწიფო მინისტრი	1
საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე	1
საქართველოს სახელმწიფო მინისტრის თანაშემწე	1
საქართველოს სახელმწიფო მინისტრის წარმომადგენელი ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში	2
დეპარტამენტის უფროსი	3
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	1
სამმართველოს უფროსი	4
მთავარი მრჩეველი	10
მრჩეველი	1
საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აღმასრულებელი თანაშემწე	1
საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილის თანაშემწე	1
მთავარი ბუღალტერი	1
საინფორმაციო ტექნოლოგიების ადმინისტრატორი	1
საქმეთა მმართველი	1
სახელმწიფო შესყიდვების მენეჯერი	1

მთავარი იურისტი	1
სულ	**31.“.**

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**